# ცნობა

ოთარ დანელია დაიბადა 1979 წლის 21 სექტემბერს, ქ. სენაკში.

1996-2000 წლებში სწავლობდა საქართველოს დიპლომატიურ აკადემიაში საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის სპეციალობით. 1997-2002 წლებში სწავლობდა ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე.

2010 წელს დაამთავრა თავისუფალი უნივერსიტეტის მართვის ევროპული სკოლა და მიენიჭა მაგისტრის ხარისხი საინფორმაციო ტექნოლოგიების ბიზნეს ადმინისტრირებაში.

1999 წელს მუშაობა დაიწყო „Northrop Grumman" (საქართველოს კოსმოსური კონტროლის პროექტი) პროექტების მენეჯერის ასისტენტად.

2001-2004 წლებში იყო გაეროს დამკვირვებელთა მისია საქართველოში EDP ასისტენტი.

2004-2007 წლებში მუშაობდა რეგიონალურ წარმომადგენლად „გაეროს ოპერაციები კოტ დ,ვუარში".

2008-2011 წლებში იყო „ბანკი რესპუბლიკა-ჯგუფი სოსიეტე ჟენერალში" პროექტის მენეჯერი, შემდეგ, პროექტებისა და ბიზნეს ანალიზის დეპარტამენტის უფროსი.

2011 წელს მუშაობა განაგრძო სს „სილქნეტში" მონიტორინგისა და სტანდარ-ტიზაციის მენეჯერად. იყო დირექტორთა საბჭოს წევრი.

2011-2013 წლებში მუშაობდა შპს უშიშროების სამსახურში DETI აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობაზე.

2013 წლის იანვრიდან 2014 წლის აპრილამდე იყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე.

2014 წლის იანვრიდან 2014 წლის აპრილამდე მუშაობდა სსიპ - საქართველოს შსს-ს მომსახურების სააგენტოს დირექტორად.

2014 წლის 11 აპრილიდან 2014 წლის 22 ივლისამდე იყო საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე.

2014 წლის 22 ივლისს დაინიშნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრად.